სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №143

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 24 აგვისტო 2018 წელი

ხელშეკრულების მხარეები:

შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი'' (ს/კ245426490; შემდგომში **,,შემსყიდველი''**) წარმოდგენილი დირექტორი **მინდია კახიძე;**

შპს ,,ტაპო მოტორსი'' (ს/კ445536153 ; შემდგომში **,,მიმწოდებელი''**), წარმოდგენილი დირექტორი **გიორგიფუტკარაძე;**

ორთავე ერთად **,,მხარეებად"** წოდებულნი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებულტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:შემსყიდველი ორგანიზაციის კუთვნილი2016 წელს გამოშვებული ,,ფოლკსვაგენი"-ს მარკის ავტომანქანისათვის (სახ. ნომრით: DD998SS)ერთი ცალი (77ამპერიანი) ტყვიამჟავური აკუმულატორისადა 2012 წელს გამოშვებული „ჰიუნდაი H1"-ს მარკის ავტომანქანისათვის (სახ. ნომრით: CNC-941)ერთი ცალი (100ამპერიანი) ტყვიამჟავური აკუმულატორის შეძენა.

2.2. კლასიფიკატორის **კოდი: 31400000.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **450 (ოთხას ორმოცდაათი)**ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს(**საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა**)მიწოდებიდან არაუგვიანეს**10 (ათი) სამუშაო დღის** განმავლობაში მიღება- ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურისანსასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი'' ,,მიმწოდებლისგან'' შესასყიდი საქონლის მიღებას მოახდენს ერთდროულად.

5.2. შემსყიდველის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.3. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, გამოვლე-ნიდან/შეტყობინებიდან **3 (სამ)** სამუშაო დღის ვადაში.

6. საქონლის მიწოდების ადგილი, ვადა და გარანტია

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი, ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ.N21.

6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან **1 (ერთი)** დღის ვადაში.

6.3. საქონლის საგარანტიო პერიოდად განისაზღვროს საქონლის მიღებიდან**1 (ერთი)** წელი.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლისმიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

- მოთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი ახლით გამოვლენიდან/შეტყობინებიდან **3 (სამ) სამუშაო დღის** ვადაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.02 %.**

8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%-ს,**შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

14.1. ,,მხარეები" ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „ბათუმისსასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"	შპს „ტაპო მოტორსი"
საიდენტიფიკაციო კოდი:245426490	საიდენტიფიკაციო კოდი:445536153
მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154;	იურიდ.მის:ბათუმი, პ.რურუასქ., №3, ბ № 25;
ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com	ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N51 ა;
ტელეფონი: +0422 25 87 03;	ელ. ფოსტა: merabi1969@mail.ru;
	ტელეფონი: +995 555 02 01 57;
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"	მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბათუმის ფილიალი	ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის№ GE92TB4457736020100006	ანგარიშის№ GE47TB7970336080100009
დირექტორი	დირექტორი
მინდია კახიძე	გიორგი ფუტკარაძე